თბილისის “დინამოს” დამარცხება

ლენინგრადი. 5 ივლისი (საკ. კორ.). 4 ივლისს ლენინგრადში შესდგა მორიგი კალენდარული მატჩი საბჭოთა კავშირის პირველობაზე. თამაშობდნენ ლენინგრადის და თბილისის “დინამო”. ლენინის სახელობის სტადიონზე, სადაც შეჯიბრება მიმდინარეობდა, 40.000-მა კაცმა მოიყარა თავი.

მატჩმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია მაყურებლებში. თბილისელებმა ეს მატჩი სუსტად ჩაატარეს. ცუდად თამაშობდნენ მეკარე და მცველები. უკანასკნელ 20 წუთში თბილისელმა ფეხბურთელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და მძლავრად დააწვნენ ლენინგრადის “დინამოს” კარებს, მაგრამ თავდამსხმელთა, განსაკუთრებით კი გავაშელისა და ბერეჟნოის არაზუსტი დარტყმის გამო, ბურთი სცილდებოდა ბადეს. ლენინგრადელები კი ყოველნაირად ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ ანგარიში, განზრახ ანელებდნენ თამაშს და ბურთს “აუტში” აგდებდნენ.

ეს თბილისელების პირველი დამარცხებაა. აღსანიშნავია, რომ ლენინგრადის “დინამომ” შარშანაც მოუგო თბილისის “დინამოს”.

რ. ხალილოვი.
“კომუნისტი”, 6 ივლისი, 1938 წ.